დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს მსოფლიო განათლების აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის
„კულინარიის ხელოვნება“ მონიტორინგის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნათია მაწკეპლაძე

წევრები:

თემურ საღინაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს მსოფლიო განათლების აკადემია

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 425060827

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ გეგმიური

☐ არაგეგმიური

☒საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 8 ოქტომბრის N1311804 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება შპს „მსოფლიო განათლების აკადემიაში“ და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის “კულინარიის ხელოვნება“ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) ქვეპუნქტის შესრულების შემოწმება. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და შესაბამისად ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 28 ოქტომბერს შპს „მსოფლიო განათლების აკადემიაში“ (ქ. ბაღდათი, შოთა რუსთაველის ქ. N 24; ქ. ბაღდათი, ნინოშვილის ქ. N 10.). მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა საბჭოს შუამდგომლობის ფარგლებში.
ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას. შედგა ჯგუფის დისტანციური შეხვედრა, სადაც განხილული იქნა ვიზიტის დღის წესრიგი.
ვიზიტი განხორციელდა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დეტალურად გადამოწმდა დაწესებულებაში არსებული მეთოდოლოგია და დანერგილი პრაქტიკა. ჩატარდა გასაუბრება დაწესებულების დამფუძნებლებთან, დირექტორთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან, პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიულ მასწავლებლებთან და დათვალიერდა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტთა მიერ გადამოწმდა 2025წლის მარტში განხორციელებული ვიზიტის დროს, ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციები:
განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

რეკომენდირებული იყო დაწესებულებამ გაზარდოს პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილების რაოდენობა აკადემიის შენობაში განთავსებულ C გარემოში, საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარიის ხელოვნება“ დანართი #5-ით განსაზღვრული მატერიალური აღჭურვილობის და ინვენტარის შესაბამისად, რაც შესრულებულია

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ
ინფორმაცია ივსება მხოლოდ მიმდინარე პროგრამების მიხედვით მონიტორინგის დროს ან წარმოების მიზნებიდან გამომდინარე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
„კულინარიის ხელოვნება“	200	74	-	26

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
კულინარიის ხელოვნება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალით(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, ასახოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტის შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ბ. გთხოვთ, ასახოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა II სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია მუდმივად იზრუნოს პროფესიული მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებასა და პროფესიულ განვითარებაზე, უზრუნველყოს მათი ჩართვა შესაბამის ტრენინგებში, სემინარებსა და დარგობრივ შეხვედრებში.

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

ნაწილი IV. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის და ენის მიხედვით. (ინდივიდუალურ პროგრამებად განიხილება განხორციელების ადგილისა და სწავლების ენის მიხედვით განსხვავებული პროგრამები. მაქსიმუმ 15 პროგრამა)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პროგრამის სახელწოდება	კულინარიის ხელოვნება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიის ხელოვნებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	სასტუმრო, რესტორანი და კვება-1013
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ბაღდათი, შოთა რუსთაველის ქ. N 24; ქ. ბაღდათი, ნინოშვილის ქ. N 10.
პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში)	კოოპერაციული
დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	200
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	74
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	200
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	80
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	95

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება
ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

პროფესიული პროგრამა „კულინარიის ხელოვნება“ ხორციელდება ქ. ბაღდათში, შოთა რუსთაველის ქ. N24 და ნინოშვილის ქ. N10 მისამართებზე. პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 200-ს. პროგრამის განხორციელების ფორმაა - კოოპერაციული.

2025 წლის 1 აპრილს განახორციელდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შპს მსოფლიო განათლების აკადემიაში სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზნით. დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „კულინარიის ხელოვნება“ მოთხოვნული სტუდენთა ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 300. თუმცა აღნიშნული ვიზიტის შედეგად ექსპერტების მიერ გამოვლენილი იქნა ხარვეზი: „2.2.1.1 პროგრამით “კულინარიის ხელოვნება” გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არ არის უზრუნველყოფილი დაწესებულების (აკადემიის სივრცე და შპს „თხმელის ციხის“ იჯარით აღებული ფართი) მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული) რაოდენობის (300 პროფესიული სტუდენტი) გათვალისწინებით. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის საფუძველზე და დაინტერესებული მხარეების პოზიციის განხილვის საფუძველზე „შპს მსოფლიო განათლების აკადემიაში“ პროფესულ პროგრამაზე „კულინარიის ხელოვნება სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 200. ასევე საბჭოს შუამდგომლობით ჩაინიშნა მონიტორინგი 2.2 კომპონენტში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2025 წლის 28 ოქტომბერს საბჭოს შუამდგომლობით ჩანიშნული მონიტორინგის ფარგლებში განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შპს „მსოფლიო განათლების აკადემიაში“. ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო კოლეჯის მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, რომელიც სრულად შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულ მოთხოვნებს. ვიზუალური დათვალიერებით დადასტურდა, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური ბაზით, პროფესიულ სტუდენტთა განსაზღვრული ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2025 წლის 28 ოქტომბერს ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს გამოიკვეთა ის ღონისძიებები, რაც დაწესებულებამ გაატარა 2025 წლის 1 აპრილს განხორციელებული ვიზიტის შემდგომ. კერძოდ:

1. დაწესებულებამ პროფესიული პროგრამის „კულინარიის ხელოვნება“ განსახორციელებლად გამოყოფილი C გარემო აღჭურვა შესაბამის პროგრამაზე არსებული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. აღნიშნულ გარემოში განთავსებულია პროფესიული პროგრამის სპეციფიკით მოთხოვნილი ექვსი ერთეული ორადგილიანი და ხუთი ერთეული სამ ადგილიანი სამუშაო მაგიდები პროფესიული სტუდენტებისთვის. აღნიშნულის გათვალისწინებით C გარემოში პრაქტიკული მეცადინეობების დროს 25 პროფესიული სტუდენტი ერთდროულად, დამოუკიდებლად შეძლებს შეასრულოს პრაქტიკული დავალებები.

დაწესებულების C გარემო მოიცავს სამ გამოყოფილ სივრცეს, რომლებშიდაც შესაძლებელია შეუფერხებლად მოძრაობა. კერძოდ:

ა) C გარემოს პირველი სივრცე-წარმოდგენილია 25 პროფესიული სტუდენტისათვის განკუთვნილი სამუშაო მაგიდა, მასწავლების სამუშაო მაგიდა, სადემონსტრაციო საშუალება. მეტალის სტელაჟები თაროებით, რომელზეც განთავსებულია სხვადასხვა ზომის თასები, ქვაბები, ქოთნები, ტაფები, კონტეინერები, დანები, ბოთლები, საცხობი ფორმები და სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ბ) C გარემოს მეორე სივრცე-წარმოდგენილია ღუმელები, საცხობი დანადგარები, ცომის მოსაზელი დანადგარი, სლაისერი, ინდუქციური ქურა, დანადგარი ფრიტურში შესაწვავი, ონკანი, გამწოვი, სტელაჟი(განთავსებულია ხორცსაკეპი მანქანები, მიქსერები, წვენსაწურები) და სხვა.

გ) C გარემოს მესამე სივრცე-წარმოდგენილია სამაცივრე დანადგარი, კარადა, რომელშიც გათავსებულია ჭურჭელი: ჭიქები, თეფშები, კონტეინეტერი, შამფურები და სხვა.

2025 წლის 1-ლ აპრილს განხორციელებული ვიზიტის დროს, ექსპერტების მიერ გაცემული იქნა რეკომენდაცია: რეკომენდირებულია დაწესებულებამ გაზრდოს პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილების რაოდენობა აკადემიის შენობაში განთავსებულ C გარემოში-შესრულებულია.

2. 2025 წლის 1 აპრილს ვიზიტის დროს ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ: C გარემოში არასაკმარისი რაოდენობითაა ინდუქციური ქურა, სამზარეულოს ნიჟარა და სხვა სასწავლო სამზარეულოს ინდივიდუალური მოხმარების ინვენტარი, კერძოდ, სხვადასხვა დანიშნულების დანები, სხვადასხვა ზომის ქვაბები და ტაფები), საერთოდ არ არის „სალამანდრა“, ბლინის მოსამზადებელი და ცომის გასაბრტყელებელი აპარატები, პლანეტარული მიქსერი, დანადგერი ფრიტურში შეწვის, მაგიდა ცომის საგლინავი, სლაისერი, თერმომეტრი, გრილი (ელექტრო ან გაზის), პიცის საჭრელი დანა, დაფა ხორცის დასაჩეხი, ნაჯახი, კეცები და ქოთნები, კომბაინი, პინცეტი თევზის ფხის მოსაცილებლად, როდინი, ციტრუსის საწური, შინუაზი და სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულებამ უზრუნველყო პროფესიული პროგრამა „კულინარიის ხელოვნება“ განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსის შეძენა, მათ შორის: პიცის ღუმელი 6+6, გრილი სალამანდრა, გრილი ელექტრო, ფრიტური, კონვექციური ღუმელი 6ლანგარი, ინდუქციური ქურა 1-იანი დასადგამი, ხორცსაკეპი, პლანეტარული მიქსერი, მეტალის სამუშაო მაგიდა+თარო, მეტალის სტელაჟი 4თარო, სპირალური მიქსერი, წვენსაწური, სხვადასხვა ტიპის დანები, დაფები, ალუმინის ლანგარები, საჭმლის თბილად შესანახი კონტეინერები, მაშები, სხვადასხვა ზომის ტაფები და თასები, საწურები, განსხვავებული დანიშნულების კოვზები, თეფშები და ქვაბები, შესანახი კონტეინერები და სხვა. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

გაცემული რეკომენდაცია შესრულებულია

3. პროფესიული პროგრამის „კულინარიის ხელოვნება“ თეორიული კომპონენტის განსახორციელებლად დაწესებულებამ გამოყა სამი A გარემო

ამრიგად, აკადემიას პროგრამის განხორციელებისთვის მოწყობილი აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გათვალისწინებული სწავლო გარემოები — სამი A გარემო, ერთი B გარემო და ერთი C გარემო.

- თითოეული A გარემო აღჭურვილია პროფესიული სტუდენტებისათვის განკუთვნილი 25 სკამით და მაგიდით, ერთი ერთეული მასწავლებლის მაგიდით, სკამით, დაფით, კომპიუტერით და სადემონსტრაციო საშუალებით;
- B გარემო აღჭურვილია 27 ერთეული-კომპიუტერით, სტუდენტის მაგიდით და სკამით. ასევე წარმოდგენილია ერთი ერთეული მასწავლებლის მაგიდა, სკამი, კომპიუტერი და სადემონსტრაციო საშუალება.
- C გარემო განკუთვნილია 25 პროფესიული სტუდენტისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

აკადემიას გაფორმებული აქვს უძრავი და მოძრავი ქონების ქირავნობის ხელშეკრულება შპს „თხმელის ციხესთან“ (ხელშეკრულება N18 18.07.2024), რომელიც ითვალისწინებს პროგრამით განსაზღვრული პრაქტიკის ჩატარებასა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის უფლებას. ხელშეკრულების მიზანია პროფესიული სტუდენტების ჩართვა რეალურ სამუშაო გარემოში და პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა პრაქტიკის ობიექტზე. ხელშეკრულებას თან ერთვის მატერიალურ-ტექნიკური რესურსის ჩამონათვალი, რომელიც აუცილებელია მოდულებით განსაზღვრული შედეგების მისაღწევად.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა დამატებითი შეთანხმება(01.04.2025) შპს „თხმელის ციხესთან“, რომელსაც თან ერთვის პროფესიული სტუდენტების დატვირთვის სქემა. აღნიშნული დანართის გაფორმება გამომდინარეობდა 2025 წლის 1-ლ აპრილს ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შედეგად გაცემული რეკომენდაციის ფარგლებში. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მხოლოდ პროფესიული მოდული „გაცნობითი პრაქტიკა-სასტუმრო, რესტორანი, კვება“ განხორციელდა პრაქტიკის ობიექტზე, ხოლო დანარჩენი დარგობრივი მოდულები ხორციელდება დაწესებულების C გარემოში.

ამჟამად, დაწესებულებას პროფესიულ პროგრამაზე „კულინარიის ხელოვნება“ ჰყავს 74 აქტიური სტუდენტი (ორი 25-სტუდენტიანი და ერთი 24-სტუდენტიანი ქვეჯგუფი). სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელმა პირმა წარმოადგინა შესაბამისი ცხრილები, რომლებიც ადასტურებს, რომ არსებული A, B და C გარემოები უზრუნველყოფს შესაბამისი რაოდენობის სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელებას. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით და სასწავლო გეგმით დგინდება, რომ კვირეული დატვირთვა არ აღემატება 36 საათს. ამასთან ზოგადი და პროფესიული მოდულები მიმდინარეობს პარალელურად. შესაბამისად 18 საათი არის თეორიული მეცადინეობის და მიმდინარეობს დაწესებულების A გარემოში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

18 საათი მიმდინარეობს დაწესებულების C გარემოში. კერძოდ, I და III ქვეჯგუფს თეორიული მეცადინეობები A გარემოში აქვს-ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს. ყოველ დღე 6 საათი თითოეული ჯგუფისათვის. ამავე ჯგუფების პრაქტიკული მეცადინეობები მიმდინარებს C გარემოში-სამშაბათი, ხუთშაბათი, შაბათი. ყოველ დღე 6 საათი. ხოლო II ქვეჯგუფს თეორიული მეცადინეობები აქვს-სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს. ყოველ დღე 6 საათი. რაც შეეხება პრაქტიკულ მეცადინეობებს, იგი მიმდინარეობს ორშაბათი, ოთხშაბათი, პარასკევი-ყოველ დღე 6 საათი.

მოცემული გარემოებებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ შპს „მსოფლიო განათლების აკადემიამ“ სრულად გაითვალისწინა 2025 წლის 1-ლ აპრილს გაცემული რეკომენდაციები და მიმდინარე ეტაპზე შესაძლებელია პროფესიული პროგრამის „კულინარიის ხელოვნება“ შეუფერხებლად განხორციელება 200 პროფესიული სტუდენტისთვის. აღნიშნული რაოდენობის სტუდენტთა მიღებას დაწესებულება გეგმავს 2 ნაკადად.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარიის ხელოვნება“ განხორციელებაში ჩართულია ოთხი ზოგადი მოდულისა და თორმეტი დარგობრივი მოდულის განმახორციელებელი პირი. ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა შესაბამისი პროფესიული მოდულების მასწავლებელთა პირადი საქმეების შესწავლა. დოკუმენტაციის გადამოწმებისა და მასწავლებლებთან გამართული გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიულ მასწავლებელთა განათლება და სამუშაო გამოცდილება სრულად უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევასა და მათი შეფასების პროცესის ეფექტიან განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და მათი კვირეული საათობრივი დატვირთვა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობასა და ხარისხს.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარიის ხელოვნება“ განმახორციელებელი ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის გადამოწმების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა პროგრამაში ჩართული განმახორციელებლების პირადი საქმეები, კვალიფიკაცია, საათობრივი დატვირთვები და მათი ჩართულობა კოლეჯის სხვა საგანმანათლებლო პროგრამებში.

შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია სრულად უზრუნველყოფს მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. მათი განათლება, სამუშაო გამოცდილება და პროფესიული კომპეტენციები შეესაბამება დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიულ მასწავლებლებს გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა, უნარები და კომპეტენცია, რაც მათ საშუალებას აძლევს ეფექტიანად განახორციელონ სწავლება და შეფასება. აღნიშნული კომპეტენციები დადასტურებულია შესაბამისი კვალიფიკაციით, დარგობრივი გამოცდილებით და/ან შესაბამისი მოდულების განხორციელების პრაქტიკითა და გავლილი ტრენინგებით.

აღსანიშნავია, რომ ახალი განმახორციელებლების აყვანის შემდეგ სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელმა პირმა და პროგრამის ხელმძღვანელმა მათ ჩაუტარეს შეხვედრა, რომელზეც განიხილეს სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები.

ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებას მისცა რეკომენდაცია — მუდმივად იზრუნოს პროფესიული მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებასა და პროფესიულ განვითარებაზე, უზრუნველყოს მათი ჩართვა შესაბამის ტრენინგებში, სემინარებსა და დარგობრივ შეხვედრებში.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარიის ხელოვნება“ ხელმძღვანელის პირად საქმეში არსებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს პირის შესაბამის კვალიფიკაციასა და სამუშაო გამოცდილებას. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად მონაწილეობს სასწავლო პროცესის მართვის მნიშვნელოვან ეტაპებში — მათ შორის, კალენდარული გეგმების შემუშავებაში, შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში, ასევე სასწავლო მიზნებისთვის საჭირო მასალებისა და ნედლეულის მოთხოვნის დაგეგმვაში.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა კოლეჯის ბიბლიოთეკის დათვალიერება. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი ბიბლიოთეკაში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, მათ შორის, განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ შემუშავებული რესურსები. დარგის ექსპერტის მიერ ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა აღნიშნული ლიტერატურა, ვიზუალურად დათვალიერებული იქნა საბიბლიოთეკო სივრცე. საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენება პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ სათანადო ინვენტარით. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ საშუალება მოიძიონ მათთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით, ისარგებლონ სამკითხველოდ გამოყოფილი ადგილით და მიიღონ ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურეობა. აკადემიას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ელექტრონულ ბიბლიოთეკასთან - OpenBiblio.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

დაწესებულებას 2023 წლის 13 დეკემბრის N035 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მართვის დებულება“, რომელშიც გაწერილია „სასწავლო პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა სწავლებისა და მხარდაჭერის ღონისძიებები. რეგულაციის თანახმად: იმ შემთხვევაში, თუ პროფესიულ პროგრამაზე ჩაირიცხება სსსმ პირი, კოლეჯი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს ის ადაპტირებული სასწავლო/საგანმანათლებლო რესურსით საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. ამავე დებულებაში გაწერილია ინდივიდუალი გეგმის შედგენის მეთოდოლოგია. ამ ეტაპზე კოლეჯში სსსმ პირები არ ირიცხებიან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

აკადემიას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კულინარიის ხელოვნების“ განხორციელებისთვის შემუშავებული აქვს საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს: საპროგნოზო შემოსავალს, ხარჯების ძირითად ნაწილს. საპროგნოზო ხარჯებში გათვალისწინებულია: პროფესიული მასწავლებლების ანაზღაურება, საკანცელარიო/საოფისე ნივთები, სახელმძღვანელო, პროფესიული განვითარება და სტუდენტური ღონისძიებები, კომუნალური გადასახადი, ტრანსპორტირების ხარჯი, პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების ხარჯი, პერსონალის, მათ შორის პროფ. მასწავლებლების განვითარებაზე მიმართული ხარჯი, პრაქტიკის განხორციელებისთვის საჭირო ნედლეულისა და მასალების ხარჯი. საპროგნოზო ბიუჯეტი ითვალისწინებს რენტაბელობის ზღვარს და წარმოდგენილია 8 პროფესიული სტუდენტის ოდენობით. შემოსავლები დათვლილია 25 პროფესიული სტუდენტით დაკომპლექტებულ ჯგუფზე.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით:

- პროფესიული პროგრამა „კულინარიის ხელოვნება“;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მართვის დებულება (2023 წლის 13 დეკემბრის №035 ბრძანება);
- პროგრამის ხელმძღვანელისა და პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები;
- პროფესიული მასწავლებლების დატვირთვის დოკუმენტები;
- პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- ზღვრული რაოდენობის მეთოდოლოგია;
- მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ცხრილები, აუდიტორიების გამტარუნარიანობა;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ინტერვიურება;
- ვიზუალური დათვალიერება;

შეფასება:

- გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია
დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

თარიღი: 24.11.2025 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---